# ადამიანი გლობალური გამოწვევების წინაშე

DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-38

**თათია ღურწკაია**
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
**t.gurtskaia@gtu.ge**

**მაკა გოგოლაძე**
აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**კარლო ღურწკაია**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**რეზიუმე**

გლობალიზაციამ ტრანსფორმაცია მოახდინა არა მხოლოდ ეროვნებათაშორისი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების, არამედ ცხოვრების პირობების, მათ შორის ადამიანის სუბიექტური „ცხოვრებისეული სამყაროში". ერთ-ერთი ინგლისელი სოციოლოგი გლობალიზაციის შედეგებს ხედავს ადამიანებს შორის ტრადიციული კავშირების ჩანაცვლებაში, გლობალური მასშტაბის კავშირებით, მრავალრიცხოვანი, უსახური და ფუნქციონალურით. ამით ირღვევა თაობიდან თაობისთვის მაღალი მორალური ფასეულობების გადაცემის მექანიზმი, როგორიცაა უშუალო პირადი კავშირები პირველადი საზოგადოების ფარგლებში. საკუთარ ქცევაში ადამიანები ხელმძღვანელობენ არა ამ ფასეულობებით, არამედ იმ პრაქტიკული ფუნქციონალური ამოცანებით, რასაც მათ წინაშე სახავს ამწუთიერი სიტუაცია.

მთლიანობაში შეგვიძლია იმის კონსტატირება, რომ გლობალიზაცია ტრანსფორმი რებად ზეგავლენას ახდენს ფაქტორთა სისტემაზე, რომლებიც პიროვნების ჩამოყალიბებას ახდენენ სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებში, არყევს ასეთ ფაქტორთა ძველ ტრადიციულ სისტემებს, ქმნის შესაძლებლობებს მათი განვითარებისთვის. ნათელია, რომ შესად ლებლობები საკმაოდ მრავალმხრივია სხვადასხვა კონკრეტულ რეგინალურ, ეროვნულ და სოციალურ სიტუაციებში-ერთ შემთხვევაში აძლევს შესაძლებლობას მსოფლმხედველობის გაფართოვებისთვის და პიროვნული საქმიანობისთვის, სხვა შემთხვევებში, როგორც ჩანს, უფრო მრავალრიცხოვანში-მის ზღვრულ მარგინალიზაციამდე, მარტობამდე დაიყვანება.

**საკვანძო სიტყვები**: ადამიანი, გლობალიზაცია, ტრანსფორმაცია, ტრადიციები.

## ძირითადი ტექსტი

ისევე როგორც ნებისმიერმა ისტორიულმა პროცესმა, გლობალიზაციამაც მოახდინა ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ეროვნებათაშორისი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების, არამედ ცხოვრების პირობების, მათ შორის ადამიანის სუბიექტური „ცხოვრებისეული სამყაროში". ის, თუ რა გავლენას ახდენენ ეს პროცესები ადამიანურ მოთხოვნილებებზე და მოტივაციაზე, სოციალურ წარმოდგენებსა და მენტალობაზე, ცხოვრებისეულ პრიორიტეტებზე, უაღრესად მნიშვნელოვანია გლობალიზაციის შედეგების და პერსპექტივების გაანალიზებისას. ასევე, ინდივიდების სოციალური აქტივობა გლობალიზაციის ეპოქაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყვეტს ცხოვრება ამ საკითხებს. სწორედ ეს აქტივობა გახდება ის ძალა, რომელიც განსაზღვრავს გლობალიზაციის ადგილს და როლს მსოფლიო ისტორიულ პროცესში.

გლობალიზაცია-სუვერენული სახელმწიფოების, ბაზრების და ტექნოლოგიების ინტეგრაციის უწყვეტი პროცესია, რომელიც ადამიანებს, კორპორაციებს და სუვერენულ სახელმწიფოებს ღრმა კონტაქტების დამყარების საშუალებას აძლევს მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ პარტნი-

ორებთან უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე, მინიმალური დანახარჯებით. სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანები სულ უფრო ხშირად სარგებლობენ ერთი და იგივე ტრანსპორტით, აცვიათ ერთი და იგივე ტანსაცმელი, იკვებებიან ერთი და იგივე საკვები პრდუქტებით, უყურებენ ერთსა და იმავე ფილმებს და გადაცემებს, უსმენენ ერთსა და იმავე ახალ ამბებს. თანამედრვე ცივილიზაციის მიერ შექმნილი ტექნოლოგიები, საქონელი, მომსახურება, შედის რა სხვადასხვა ხალხების ცხვრებაში, მათ როგორც არასდროს ისე აახლოვებს.

გლობალიზაციის „ადამიანისეული განზომილება" ჯერ კიდევ არ ყოფილა სისტემური, ყოველმხრივი შესწავლის საგანი სამეცნიერო ლიტერატურაში. ხშირ შემთხვევაში განიხილება შესაბამისი ცვლილებების ცალკეული ასპექტები, მაგრამ არა პრობლემა მთლიანობაში. ცალკეული, მნიშვნელოვანი ტენდენციები, მაგრამ არა სხვადასხვა ტენდენციების ერთობლიობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება.

გლობალიზაციის „ადამიანისეული განზომილება" სამეცნიერო თვალსაზრისით ჯერ კიდევ გაუთიბავი მიზანია, მრავალი და მრავალი მომავალი კვლევის ობიექტი.

თანამედრვე ლიტერატურაში გამოთქმულია საკმაოდ რადიკალური შეხედულებები გლობალიზაციის გავლენაზე თანამედროვე საზოგადოებაზე, ადამიანის როლზე საზოგადოებაში. ერთ-ერთი ინგლისელი სოციოლოგი გლობალიზაციის შედეგებს ხედავს ადამიანებს შორის ტრადიციული კავშირების ჩანაცვლებაში, გლობალური მასშტაბის კავშირებით, მრავალრიცხოვანი, უსახური და ფუნქციონალურით. ამით იღრვევა თაობიდან თაობისთვის მაღალი მორალური ფასეულობების გადაცემის მექანიზმი, როგორიცაა უშუალო პირადი კავშირები პირველადი საზოგადოების ფარგლებში. საკუთარ ქცევაში ადამიანები ხელმძღვანელობენ არა ამ ფასეულობებით, არამედ იმ პრაქტიკული ფუნქციონალური ამოცანებით, რასაც მათ წინაშე სახავს ამწუთიერი სიტუაცია.

გლობალიზაციის იმავე იდეას იზიარებენ ისეთი ცნობილი სოციოლოგები, როგორიცაა ე. გიდენსი და უ. ბეკი. ბეკის აზრით, გლობალურ „რისკის შემცველ საზოგადოებაში", რომელიც წარმოიშობა გლობალიზაციის შედეგად, ადამიანთა ბედი სულ უფრო არასტაბილურია და დამოკიდებული ხდება შემთხვევაზე, ასეთ საზოგადოებაში ძლიერდება ინდივიდუალიზმი, რომელიც იწვევს არა ინდივიდის ავტონომიას, არამედ პირიქით იზრდება მისი დაქვემდებარება „სტრუქტურულ იძულებასა" და საყოველთაო სტანდარტიზაციასთან.

აღსანიშნავია, რომ მსგავს კონცეფციებში გლობალიზაცია გამოდის არა როგორც კონკრეტული ისტორიული ფენომენი, რომელიც ფლობს გარკვეულ ეკონომიკურ, სოციალურ, კომუნიკაციურ და სხვა ტიპის პარამეტრებს, არამედ ცვლილებების გარკვეული განზოგადებული სიმბოლოს, რასაც განიცდის უკანასკნელი რამდენიმე ათწლეული დასავლეთის საზოგადოება.

ჯერ კიდევ 1981 წელს საზოგადოებრივი აზრის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი იანკელოვიჩი წერდა „ნამდვილ კულტურულ რევოლუციაზე", რომელიც „ჩვენს ინდუსტრიულ ცივილიზაციას წინწაწევს ადამიანისეული გამოცდილების ახალ ფაზამდე". საქმე ეხებოდა მოვლენათა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ერთობლიობას, რომელიც გამოხატავდა პიროვნების პროტესტს სისტემის ნორმატიული-ფასეულობათა მიმართ, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ცხოვრებას განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების პირობებში. მაგალითად, შრომის წინააღმდეგ, რომელიც მომუშავეს ინიციატივას და შემოქმედებით მიდგომას ართმევს და მოტივირებულია მხოლოდ შემოსავლებით და მოხმარებით.

გლობალიზაციის ყველაზე მასშტაბური და არსებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგია პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში" ადამიანთა მდგომარეობას შორის ღრმა სხვაობა. ეს სხვაობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა სარგებლობს გლობალიზაციის სიკეთეებით, სხვა ქვეყნები კი არა.

მთლიანობაში შეგვიძლია იმის კონსტატირება, რომ გლობალიზაცია ტრანსფორ მირებად ზეგავლენას ახდენს ფაქტორთა სისტემაზე, რომლებიც პიროვნების ჩამოყალი ბებას ახდენენ სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებში, არყევს ასეთ ფაქტორთა ძველ ტრადი ციულ სისტემებს, ქმნის შესაძლებლობებს მათი განვითარებისთვის. ნათელია, რომ შესაძ ლებლობები საკმაოდ მრავალ-

მხრივია სხვადასხვა კონკრეტულ რეგინალურ, ეროვნულ და სოციალურ სიტუაციებში - ერთ შემთხვევაში აძლევს შესაძლებლობას მსოფლმხედველობის გაფართოვებისთვის და პიროვნული საქმიანობისთვის, სხვა შემთხვევებში როგორც ჩანს უფრო მრავალრიცხოვანში - მის ზღვრულ მარგინალიზაციამდე, მარტობამდე დაიყვანება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. P.R. Krugman-International Economics: Theory and Policy, Global Edition, 12 edition-2022;
2. მსოფლიოს მოკლე ეკონომიკური ისტორია, მეხუთე გამოცემა-ლარი ო ნილი, რონდო კამერონი-ქართული გამოცემის მთ. რედაქტორი-ა. სილაგაძე-2022წ.;
3. International Business-A Managerial Perspective-8 edition-Ricky W. Griffin, Michael W. Pustay, 2014;
4. ღურწკაია კ.ი., ღურწკაია თ.კ.,საერთაშორისო ბიზნესის აქტუალური საკითხები, 2017 წ.;
5. Кувалин В. Б.-Грани Глобализации-2003 г;

**REFERENCES:**

1. P.R. Krugman-International Economics: Theory and Policy, Global Edition, 12 edition-2022;
2. Short economic history of the world, fifth edition-Larry O Neil, Rondo Cameron- Editor-in-chief of Georgian publication- A. Silagadze-2022;
3. International Business-A Managerial Perspective-8 edition-Ricky W. Griffin, Michael W. Pustay, 2014;
4. Gurtskaia K. I., Gurtskaia T.K., Actual Topics of International Business-2017 y.;
5. Kuvalin V. B.- The Edges of Globalization-2003y.

## HUMAN FACING GLOBAL CHALLENGES

**Tatia Gurtskaia,**
Associate Professor, GTU
t.gurtskaia@gtu.ge

**Maka Gogoladze**
Associate Professor, ATSU

**Karlo Gurtskaia**
Academic Doctor of Economics

**RESUME**

Globalization has changed not only interethnic and interstate relations, but also living conditions, including the subjective “life world” of a person. An English sociologist sees the consequences of globalization in replacing traditional ties between people with connections on a global scale, numerous, faceless and functional. This destroys the mechanism of transmission of high moral values from generation to generation, such as direct personal connections within primitive society. In their own behavior, people are guided not by these values, but by practical functional tasks that a constrained situation poses to them. In general, it can be argued that globalization transforms the system of factors that shape personality in various types of societies, shakes up old traditional systems of such factors, and creates opportunities for their development. It is clear that the possibilities are quite multifaceted in different specific regional, national and social situations - in one case, this makes it possible to expand the lobby’s worldview and personal activity, in other cases, seemingly more numerous, to its marginalization, loneliness.

**Keywords:** Human, globalization, transformation, traditions.